



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

10.11.2014

№ 43

სარჩევი

საქართველო.....	3
სს „დარიალი ენერჯისა“ და „ვეროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს“ შორის ფინანსირების ხელშეკრულება გაფორმდა.....	3
კომპანია "თელასი" შემოდგომა-ზამთრის სეზონს მომზადებული ხვდება.....	4
რეგიონი	5
თურქეთი 2015 წლისთვის ახალ ენერგეტიკულ მიზნებს ისახავს.....	5
ექსპერტის აზრით, სომხეთისთვის 1 000 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ატომური სადგურის მშენებლობა მიზანშეწონილი არ იქნება.....	7
ნავთობისა და გაზის გადამამუშავებელი კომპლექსი SOCAR-ისთვის სტრატეგიული პროექტია	8
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	9
„ლუნდინ პეტროლიუმი“ „როსნეფტის“ წინააღმდეგ არსებული სანქციების გამო ახალ პარტნიორს ეძებს.....	9
ყაზახეთმა რუსეთიდან ჩინეთში ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფი დაამტკიცა.....	10
ყაზახეთი ყირგიზეთს ელექტროენერჯის მიწოდებით დაეხმარება.....	10
ევროპა	11
ხორვატია ადრიატიკის ზღვაში ნავთობისა და გაზის კვლევა-ძიებას გეგმავს.....	11
მიუხედავად ენერგეტიკული დეფიციტისა, საფრანგეთი ეხმარება ბელგიას ენერგოუსაფრთხოების შენარჩუნებაში.....	12
დანია ათ წელიწადში ქვანახშირის აკრძალვას აპირებს	13
მსოფლიო.....	14
ეთიოპიის ელექტროენერჯის კორპორაცია (Ethiopian Electric Power) 300 მგვტ სიმძლავრის ახალი მზის ენერჯის პროექტს ავითარებს	14
ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ენერგოკრიზისის დასაძლევად 250 მლრდ აშშ დოლარია საჭირო.....	15
OPEC-ის მონაცემებით, უახლოესი 26 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ენერგიაზე გლობალური მოთხოვნის მკვეთრი ზრდა.....	17
ანალიტიკა	18
განახლებადი ენერგია ბუნებრივი გაზის წინააღმდეგ	18

სს „დარიალი ენერჯისა“ და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს“ შორის ფინანსირების ხელშეკრულება გაფორმდა.

ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, სს „დარიალი ენერჯის“ დირექტორს ზურაბ ალავიძესა და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელს ნანდიტა ფარმადს შორის ფინანსირების ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრო.



ხელი მოეწერა ფინანსირების ხელშეკრულებას 80 მილიონ აშშ დოლარამდე სესხის გამოყოფის შესახებ, დარიალის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების, მშენებლობის და ექსპლუატაციაში გაშვების დაფინანსებაზე, რაც წარმოადგენს პროექტის ფინანსირების და წარმატებული საზოგადოებრივი კერძო პარტნიორობის პირველ პროექტს საქართველოს ენერგო-სექტორში.

„დარიალჰესის“ მშენებლობა 2012 წელს დაიწყო და მისი დასრულება 2015 წლის დეკემბერში იგეგმება. „დარიალჰესის“ დადგმული სიმძლავრე 108 მგვტ-ია. წლიური გამომუშავება 510 მლნ კვტ/სთ. სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 124 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ჰიდროელექტროსადგური ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდინარე თერგზე შენდება. მშენებლობის სხვადასხვა ეტაპებზე დასაქმდება 300-მდე ადგილობრივი მოსახლე, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე შეიქმნება 50 მუდმივი სამუშაო ადგილი.

დარიალი ჰესი იქნება ერთსაფეხურიანი, მდინარის დინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგური. ამგვარი სტრუქტურა გამორიცხავს მდინარის ზედა ნაწილის

დაგუბებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.¹

კომპანია "თელასი" შემოდგომა-ზამთრის სეზონს მომზადებული ხვდება

კომპანია „თელასი“ 2014-2015 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონს მომზადებული ხვდება. ამგვარი დასკვნა გააკეთა „ინტერ რაო“-ს სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც სს „თელასის“ სამეწარმეო აქტივების შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მზადყოფნა შეამოწმა და კომპანიას შესაბამისი პასპორტი გადასცა.



შემოდგომა-ზამთრის სეზონისთვის მზადებას კომპანია „თელასი“ ყოველწლიურად გაზაფხულზე იწყებს. წელს სს „თელასის“ გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომელიც შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებაზე იყო პასუხისმგებელი.

გეგმის მიხედვით, „თელასმა“ ჩაატარა სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოები 110/35 და 10(6) კილოვოლტიანი ქვესადგურების გამანაწილებელ მოწყობილობებზე, მოდერნიზების სამუშაოები სატრანსფორმატორო ქვესადგურების ელექტროტექნიკურ ნაწილზე; სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა 110 და 35 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზებს, შეიცვალა 35/10/6 კილოვოლტიანი ძაბვის მოძველებული საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზები და ა.შ.

ქვესადგურებში „დიდუბე-220“ და „საბურთალო-1“ კომპანია „თელასმა“ რეკონსტრუქცია-მოდერნიზების პროექტები განახორციელა. დასრულდა ცენტრალური გამანაწილებელი მოწყობილობის № 0001 სრული რეკონსტრუქციის და მოდერნიზების სამუშაოები. ასევე 110კვ ტრანსფორმატორს ქვესადგურში „საბურთალო-2“ და 35კვ ტრანსფორმატორს ქვესადგურში „აეროპორტი“ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა.

„აღნიშნული სამუშაოების ჩატარების მიზანია თბილისის ელექტრომომარაგების ეფექტიანობის და საიმედოობის ამაღლება, ასევე სიმძლავრეების გაზრდა ქალაქის ელექტროქსელის შემდგომი განვითარებისთვის. ამასთანავე, კომპანია „თელასი“ და მისი ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი აღჭურვილობითა და

¹ <http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=343&lang=geo>

მასალებით ნებისმიერი ტექნიკური ინციდენტის აღმოსაფხვრელად, ან მინიმუმამდე შესამცირებლად“ - განაცხადა სს „თელასის“ გენერალურმა დირექტორმა სერგეი კობცევმა.²

რეგიონი

თურქეთი 2015 წლისთვის ახალ ენერგეტიკულ მიზნებს ისახავს

თურქეთის განვითარების სამინისტრომ 2015 წლის ენერგეტიკული მიზნები გამოაქვეყნა, რომელიც მოიცავს ელ.ენერგიის მოხმარებას, განახლებადი და ბირთვული ენერგიის საკითხებს.

2015 წლის პროგრამა ითვალისწინებს ენერგეტიკულ პროგნოზებს, წახალისების ფორმებსა და ქვეყანაში განხორციელებულ და განსახორციელებელ რეფორმებს.



პროგრამის ძირითადი მიზანი, ენერგეტიკული მიქსის დივერსიფიცირების შედეგად, ელექტროენერგიის მოხმარებლების მუდმივი, უსაფრთხო და იაფი ელ.ენერგიით უზრუნველყოფაა. ამის გათვალისწინებით, განახლებადების წილის ზრდა, ბირთვული ენერგეტიკის სფეროში ცოდნის გაღრმავება, ენერგოდამოკიდებულების შემცირება და საერთაშორისო ენერგეტიკულ ვაჭრობაში პოზიციის გამყარება იგეგმება.

² <http://www.telasi.ge/ge/news/3576>

2015 წლისთვის ელ.ენერჯის მოხმარება 4.3%-ით უნდა გაიზარდოს და 268 მლრდ კვტ.სთ უნდა შეადგინოს.

ამ პროგრამის მიხედვით, მოსახლეობის ერთ სულზე ელ.ენერჯის მოხმარება 3.1%-ით (105 კვტ.სთ-ით) გაიზარდება და 3 429 კვტ.სთ-ს შეადგენს.

ამ წლის ბოლოსთვის ელ.ენერჯის მოხმარება 257 მლრდ კვტ.სთ-ს მიაღწევს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე - 3 324 კვტ.სთ-ს.

ელ.სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 2015 წელს 6.5%-ით გაიზარდება და 74 გგვტ.-ს მიაღწევს. გაზზე მომუშავე სადგურები ჯამური დადგმული სიმძლავრის 43.9%-ს მიაღწევენ, ხოლო განახლებადები - 28.8%-ს.

პროგრამის მიზნების მიხედვით, ენერჯეტიკის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო ჩამოყალიბდება, რომელიც შეაგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას, ჩაატარებს კვლევებსა და ენერგოეფექტურობის აუდიტს ქვეყანაში.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსებისა და ფინანსთა სამინისტროები პროგრამის ფარგლებში გეგმავენ, ხელი შეუწყონ ენერგოეფექტურ პროექტებსა და ინდუსტრიებში ჭარბი ენერგომოხმარების შემცირებას. ამ მიზნით, გადასახადი გაიზარდება იმ ელექტრომოწყობილობებზე, რომლებიც ჭარბ ენერჯიას მოიხმარენ.

იმის გამო, რომ გეოთერმული ენერჯია სხვა ალტერნატიულ ენერჯიებთან შედარებით ეკოლოგიურად უფრო სუფთა და იაფია, მის შესაბამის დასახლებებში განვითარებას აუცილებლად დაუჭერს მხარს მთავრობა. რადგანაც მზისა და ქარის ენერჯის კვლევა მოხდა, განახლდება მათი პოტენციალის რუკებიც.

მინერალების კვლევა ძიების დირექტორატი განსაზღვრავს გეოთერმული ენერჯის გამოყენების შესაძლებლობებს და მხარს დაუჭერს მის განვითარებას.

გარდა განახლებადი ენერჯიების განვითარებისა და წახალისებისა, გაზის კომპანიები მუშაობენ რესურსის იმპორტის გრძელვადიან შეთანხმებებზე, რაც შემდგომში ბევრ ვალდებულებას ააცილებს მათ თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტირების საკითხთან დაკავშირებით.

ბუნებრივი აირის საცავის მოცულობა 1.6 მლრდ-იდან 4.3 მლრდ-მდე გაიზარდება და მარილიანი ტბის ტერიტორიაზე ახალი საცავის მშენებლობის გეგმაზე მუშაობა 2015 წელსაც გაგრძელდება.

ბირთვული ენერჯის განვითარების მიზნიდან გამომდინარე, ატომური ენერჯის უსაფრთხოების მონიტორინგისთვის დამოუკიდებელი და კომპეტენტური მარეგულირებელი ჩამოყალიბდება.

თურქეთის ატომური ენერჯის მარეგულირებელი ორგანოს უფლებებისა და მოვალეობების შესახებ კანონი შემუშავდება. კანონმდებლობა მომზადდება რადიოაქტიული ნარჩენების უსაფრთხო მართვისა და დამუშავებისთვისაც.³

ექსპერტის აზრით, სომხეთისთვის 1 000 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ატომური სადგურის მშენებლობა მიზანშეწონილი არ იქნება

განახლებადი ენერჯების ექსპერტი კარენ არაბიანი აცხადებს, რომ სომხეთის მთავრობის გეგმა, ააშენოს 1 000 მგვტ დადგმული სიმძლავრის ატომური ელექტროსადგური, არ არის მიზანშეწონილი. მისი აზრით, უმჯობესია აშენდეს 400 მგვტ დადგმული სიმძლავრის ატომური სადგური და პარალელურად ქვეყანამ ალტერნატიული ენერჯების განვითარება დაიწყოს. ეს უფრო პრაქტიკული იქნება.



არაბიანის განცხადებით, 1 000 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბირთვული სადგური ეფექტურად ვერ იმუშავებს, რადგანაც ფიზიკურად არ იქნება იმხელა მოთხოვნა, რის გამომუშავებასაც ატომური სადგური შეძლებს.

ექსპერტის ცნობით, 1 000 მგვტ-იანი სადგურის აშენება დაახლოებით 5-7 მლრდ აშშ დოლარი დაჯდება, მაშინ როდესაც, ალტერნატიული ენერჯის განვითარების ხარჯი 10-ჯერ ნაკლები იქნება.

სომხეთის მეწამორის ბირთვული სადგური ერევნის დასავლეთით, 30 კილომეტრშია და ის 1970 წელს აშენდა. 1988 წელს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის დროს, რომელსაც დაახლოებით 25 000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, სადგური დაზიანდა და დაიხურა.

VVER 440-V230 ტიპის მსუბუქი წყლის ერთ-ერთი რეაქტორი ხელახლა 1995 წელს აამუშავეს. მთავრობას ახალი რეაქტორის აშენება სურს, რომელიც საბჭოთა დროს აშენებულ რეაქტორზე ორჯერ მეტი ენერჯის გამომუშავებას შეძლებს. ამჟამად სადგური სომხეთის ელ.ენერჯის 40%-ს გამოიმუშავებს. თუმცა, მთავრობამ ჯერ პროექტისთვის დაფინანსების წყაროები უნდა მოიძიოს.⁴

³ <http://www.worldbulletin.net/news/147806/turkey-works-towards-better-energy-goals-for-2015>

⁴ http://arka.am/en/news/technology/building_1000_mw_capacity_nuclear_power_plant_not_expeditious_in_armenia_expert_says/

ნავთობისა და გაზის გადამამუშავებელი კომპლექსი SOCAR-ისთვის სტრატეგიული პროექტია

SOCAR-ის პრეზიდენტმა ბაქოში ფორუმზე აზერბაიჯანში მეორე ნავთობისა და გაზის გადამამუშავებელი და ნავთობქიმიური კომპლექსის (OGPC) პროექტის შესახებ განაცხადა, რომ ის აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიულია.



მისი ცნობით, ახალი კომპლექსის მშენებლობის გადაწყვეტილება ქვეყნის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გაჩნდა, რადგანაც ძველ გადამამუშავებელ ქარხნებს მცირე დადგმული სიმძლავრე გააჩნიათ.

ჯერჯერობით, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დოკუმენტისა და მშენებლობის ადგილის გარდა არაფერია მზად და პროექტი საწყის ეტაპზე იმყოფება.

კომპლექსი ბაქოდან 60 კილომეტრში აშენდება და მას სამი გადამამუშავებელი საწარმო და ერთი თბოელექტროსადგური ექნება.

პროექტის პირველი ფაზის ჯამური ღირებულება 7 მლრდ აშშ დოლარია (სესხის პროცენტის გათვალისწინებით, 8.45 მლრდ აშშ დოლარი). უკუგების პერიოდი 4-5 წელია. პროექტის 30% სახელმწიფო სახსრებით, ხოლო 70% - მოზიდული სახსრებით დაფინანსდება.

OGPC-ის პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს პროდუქტის ხარისხს, ხელს შეუწყობს საექსპორტო პოტენციალის ზრდას და დაიცავს დედაქალაქის გარემოს.

ფორუმზე OGPC-ის დირექტორმა ტოფიკ ქაჰრამანოვმა განაცხადა, რომ პროექტის განვითარების მეორე ფაზის ფარგლებში, მეორე გადამამუშავებელი ქარხანა 2030 წლისთვის დაიწყებს ოპერირებას. მისი ცნობით, გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის გეგმაში ცვლილებებს ქვეყნის ენერგეტიკულმა საჭიროებებმა და მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და გაზის სექტორში უზარმაზარი პროექტების განხორციელებამ შეუწყო ხელი.

გადაწყდა, რომ აზერბაიჯანის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ბაქოში ჰეიდარ ალიევის სახელობის გადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქცია მოხდეს. რეკონსტრუქციის შემდეგ ის მუშაობას 15 წლის მანძილზე შეძლებს. ასევე, კომპლექსს 7-8 ახალი ნაწილიც დაემატება.

ქაჰრამანოვმა ასევე განაცხადა, რომ 2020 წლამდე პირველი ფაზის ფარგლებში გაზის გადამამუშავებელი სადგური და ნავთობქიმიური ნივთიერებების ქარხანა აშენდება.

ბუნებრივი აირის გადამამუშავებელი ქარხანა 12 მლრდ კუბ.მ-ის გადამამუშავებას შეძლებს წლიურად, ხოლო ნავთობქიმიური ქარხანა წელიწადში 860 000 მეტრულ ტონა პოლიმერს აწარმოებს.

კვლევის შედეგად გადაწყდა, რომ ნავთობქიმიური ქარხანა ნედლეულად ნავთის მაგივრად ბუნებრივ აირს გამოიყენებს.⁵

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

„ლუნდინ პეტროლიუმი“ „როსნეფტის“ წინააღმდეგ არსებული სანქციების გამო ახალ პარტნიორს ეძებს

რადგანაც „როსნეფტი“ სანქციების ქვეშ აღმოჩნდა, ნავთობისა და გაზის შვედური



კომპანია „ლუნდინ პეტროლიუმი“ ახალ პარტნიორს ეძებს კასპიის ზღვაში საბადოების ასათვისებლად.

როგორც შვედური კომპანიის ანგარიშშია აღნიშნული, საუბარია „ლაგანის“ ბლოკზე, რომელიც კასპიის ზღვის აკვატორიის

ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ამ მონაკვეთში ნავთობის საბადო 2008 წელს აღმოაჩინეს და მისი მარაგები 157 მილიონი ბარელით განისაზღვრა. 2013 წელს „ლუნდინ პეტროლიუმმა“ და „როსნეფტმა“ საბადოს ერთობლივ დამუშავებაზე მოილაპარაკეს.

ამჟამად „ლაგანის“ ბლოკის 100% კომპანია „პეტრორესურსს“ ეკუთვნის, რომელიც, თავის მხრივ, „გუნვორ გრუპისა“ და „ლუნდინ პეტროლიუმის“ საკუთრებაა. იგეგმებოდა, რომ „როსნეფტი“ აღნიშნული კომპანიის 51%-ს გამოისყიდდა და მხარეები წიაღისეულს პარტნიორობის საფუძველზე აითვისებდნენ. ახლა კი, შვედური კომპანია ალტერნატიულ ვარიანტს ეძებს. „ლუნდინ პეტროლიუმის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს დაკავშირებული იმასთან, რომ სანქციური შეზღუდვების გამო „როსნეფტთან“ გარიგების დასრულება კითხვის ნიშნის ქვეშაა.

რუსულ კომპანიაში „ლუნდინ პეტროლიუმის“ განცხადებაზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ. ადრე იუწყებოდნენ, რომ შვედურმა კომპანიამ ნახშირწყალბადების ახალი საბადო აღმოაჩინა ბარენცის ზღვაში, თუმცა „ლუნდინ პეტროლიუმის“ ტექნოლოგიური შესაძლებლობები ჯერ არ აძლევს კომპანიას საშალებას, დამოუკიდებლად აითვისოს ეს ფართობი, რომელიც მხოლოდ „გოლფსტრიმის“ თბილი დინების წყალობითაა ყინულისაგან თავისუფალი.⁶

⁵ <https://newhub.shafaqna.com/EN/AZ/6229550>

⁶ <https://www.oilandgaseurasia.com/ru/news/lundin-petroleum>

ყაზახეთმა რუსეთიდან ჩინეთში ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფი დაამტკიცა

ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია „ყაზტრანსოილის“ ცნობით, ქვეყანამ რუსეთიდან ჩინეთში ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფი დაადგინა. აღნიშნული ტარიფი ძალაში 2015 წლის 1 იანვრიდან შევა. მემორანდუმში ორ ქვეყანას შორის ჩინეთის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების კუთხით თანამშრომლობას ითვალისწინებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთიდან ყაზახეთის საზღვრამდე (პრიირტიშსკი) და ყაზახეთის საზღვრიდან (ატასუ) ჩინეთის საზღვრამდე (ალაშანკოლუ) მონაკვეთში 1 ტონა ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფი 9.8 აშშ დოლარი იქნება. პრიირტიშსკიდან ატასუმდე 1 ტ. ნავთობის ტრანსპორტირების ღირებულება 2.63 აშშ დოლარი, ხოლო ატასუდან ალაშანკოლუმდე - 7.17 აშშ დოლარი ყოველ ტონაზე.

კომპანია „ყაზტრანსოილი“ ყაზახეთის სახელმწიფო მაგისტრალური ნავთობსადენების ოპერატორია, რომელიც 5 000 კმ-ზე მეტი სიგრძის მაგისტრალურ და 2 000 კმ-ზე მეტ წყალქვეშა ნავთობსადენებს აკონტროლებს.⁷

ყაზახეთი ყირგიზეთს ელექტროენერჯის მიწოდებით დაეხმარება

ყირგიზეთის პრეზიდენტის აღმაზბეკ ატამბაევის განცხადებით, ყაზახეთი ყირგიზეთს ელექტროენერჯის მიწოდების კუთხით დახმარებას აღმოუჩენს. „ყირგიზეთი არასახარბიელო სიტუაციაში იმყოფება, რადგან ქვეყანაში სერიოზული ენერგეტიკული პრობლემებია. ის, რომ თქვენ ამ საკითხის მოგვარებაში, ისევე, როგორც სხვა საკითხებში, ჩვენი დახმარება გადაწყვიტეთ, მუდმივად დარჩება ყირგიზეთის მოსახლეობის მახსოვრობაში. მთელი ერი მადლიერია ასეთი ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის“ - ატამბაევა განაცხადა ყაზახ კოლეგასთან შეხვედრის დროს. ატამბაევა აქვე აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ ყაზახეთმა დიდი პროგრესი განიცადა, შევიდა რა 5 ყველაზე სწრაფად განვითარებად სახელმწიფოთა სიაში - მსოფლიოს 50 მსხვილ ეკონომიკას შორის.

შეხვედრის დროს, ყაზახეთის პრეზიდენტმა თავის მხრივ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ყაზახეთი და ყირგიზეთი საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებით შეთანხმებულად მოქმედებენ. მისი განცხადებით, ბოლო 2 წლის განმავლობაში ქვეყნებს შორის საქონელბრუნვამ 1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ყაზახეთი ყირგიზეთს აწვდის ელ.ენერჯის მოხმარების 86%-ს.⁸

⁷ <http://www.trend.az/business/energy/2330410.html>

⁸ <http://www.trend.az/casia/kazakhstan/2330721.html>

ხორვატია ადრიატიკის ზღვაში ნავთობისა და გაზის კვლევა-ძიებას გეგმავს

ეკონომიკის მინისტრმა ივან ვრდოლიაკმა 3 ნოემბერს განაცხადა, რომ ადრიატიკის ზღვაში გაზისა და ნავთობის ფართობების საძიებო საერთაშორისო ტენდერებში ხორვატიამ მიიღო ექვსი წინადადება და მათგან საუკეთესოს წლის ბოლოსთვის შეარჩევს.

„კმაყოფილები ვართ იმ ფაქტით, რომ მივიღეთ დიდი, სერიოზული კომპანიების წინადადებები“ - განაცხადა ვრდოლიაკმა. მთავრობის ხედვით, ნავთობის მოპოვებას გადამწყვეტი როლი აქვს ევროკავშირის უახლესი წევრი ქვეყნისთვის, რომლის ეკონომიკაც 2008 წლის რეცესიის შემდეგ გაყინულია.

ხორვატიის მოლოდინით, მომდევნო ხუთი წლის მანძილზე კვლევით სამუშაოებში 2 მლრდ ევროს ინვესტირება მოხდება. ადგილობრივი მედიის გადმოცემით, აუქციონზე დაინტერესებულნი იყვნენ ნავთობის ისეთი წამყვანი კომპანიები, როგორებიცაა Exxon, Shell, Chevron და Total, თუმცა ვრდოლიაკმა რომელიმე მონაწილის დასახელებაზე უარი განაცხადა.



ტენდერი, რომელიც 7 თვიანი მიმდინარეობის შემდეგ ორშაბათს დაიხურა, მოიცავდა 29 ბლოკს კვლევისა და შემდგომი გამოყენებისათვის, რომელთაგან 8 ჩრდილოეთ და 21 ცენტრალურსა და სამხრეთ ადრიატიკში მდებარეობს. ერთი ბლოკის ზომა მერყეობს 1000-დან 1600 კვადრატულ კილომეტრამდე. თითოეულ პრეტენდენტს ჰქონდა უფლება, ევაჭრა შეუზღუდავი რაოდენობის ბლოკებისთვის. მთლიანობაში განაცხადი 15 ბლოკზე შემოვიდა. მთავრობა ნებართვებზე ხელის მოწერას 2015 წლის გაზაფხულისთვის გეგმავს.

კვლევა-ძიების ხელშეკრულება იქნება ხუთწლიანი, მომავალში ვადის გაგრძელების პირობით, ხოლო ექსპლუატაციის შეთანხმების ვადა 25 წელია.

წინასწარი მონაცემების თანახმად, გაზის რეზერვების პოვნა მოსალოდნელია ჩრდილოეთში. ნედლი ნავთობის რეზერვებს კი ხორვატიის ადრიატიკის სამხრეთ ნაწილში ელიან, იქ სადაც ზღვის ფსკერი უფრო ღრმაა.

გარემოს დაცვის ადგილობრივი ჯგუფების განცხადებით, ნავთობის ჭაბურღილებმა შესაძლოა, გაანადგუროს ადრიატიკის ზღვა და ზიანი მიაყენოს ხორვატიის მომგებიან ტურიზმს. მთავრობის თქმით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული იქნებიან, დაიცვან გარემოს დაცვის უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტები.

ამ ეტაპზე ხორვატია გაზის მოხმარების წლიური 3 მლრდ კუბური მეტრის 65%-ს საკუთარი ოფშორული მოპოვებიდან ფარავს. იგი იმედოვნებს, რომ ახალი კვლევითი სამუშაოების წყალობით, ადგილობრივი ჭაბურღილებით შეძლებს მთლიანი შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ქვეყანა ამჟამად, ასევე ატარებს საერთაშორისო ტენდერს გაზისა და ნავთობის ხმელეთზე ძიებაზე, რომელიც თებერვალში დაიხურება.⁹

მიუხედავად ენერგეტიკული დეფიციტისა, საფრანგეთი ეხმარება ბელგიას ენერგოსაფრთხოების შენარჩუნებაში

მომავალ ზამთარს საფრანგეთი, მიუხედავად ელექტროენერჯის დეფიციტისა, დაეხმარება ბელგიას ენერგოსაფრთხოების შენარჩუნებაში.

ბელგიაში ელექტროენერჯის დეფიციტი გამოიწვია Electrabel-ის მიერ ბირთვული რეაქტორების გათიშვამ. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს შესაძლოა თავად შეექმნას ელექტროენერჯის დეფიციტი და პიკურ პერიოდში მოუწიოს იმპორტის განხორციელება, მაინც ძველებურად აპირებს მეზობელი ქვეყნისთვის ელექტროენერჯის ექსპორტით მიწოდებას.

Reseau de Transport d'Electricite-ის განცხადების თანახმად, ბირთვული და თბო ელექტროენერჯის წარმოება მომავალ ზამთარს იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე ეს იყო წინა წლის ზამთარში, მაშინ, როდესაც მოთხოვნა იქნება სტაბილური. საფრანგეთიდან იმპორტზე დაყრდნობა შესაძლებელი იქნება იანვრის დღის მოთხოვნისა და ცივი დღეების დასაკმაყოფილებლად.

საფრანგეთი Electricite-ის 58 რეაქტორის მიერ გამომუშავებული სიმძლავრის დაახლოებით სამ მეოთხედს მოიხმარს, მოსახლეობა უმეტესწილად დამოკიდებულია ელექტროენერჯიაზე, განსხვავებით მისი მეზობელი ქვეყნებისგან. ქვეყანა უახლოეს

⁹ <http://www.euractiv.com/sections/energy/croatia-explore-oil-gas-adriatic-309731>

მომავალ წლებში ენერჯის დეფიციტის წინაშე დადგება, ვინაიდან დაგეგმილია მომველბული წიაღისეული საწვავის სადგურისა და ორი რეაქტორის დახურვა.

RTE-ის ინფორმაციის თანახმად, ატომური სიმძლავრის დაბალი პოტენციალისა და წიაღისეული საწვავის სადგურის დახურვის გამო მომავალ ცივ სეზონზე სიმძლავრე 2400 მგვტ-ით ნაკლები იქნება, ვიდრე ეს იყო წინა წლის ზამთარში. ყინვების შემთხვევაში კი საფრანგეთს შესაძლოა მოუწიოს იანვრის ბოლოსთვის დიდი მოცულობით იმპორტის განხორციელება.

„ტემპერატურის ვარდნამ შესაძლოა გაიწვიოს პიკურ დროს - სადამოს 7 საათისთვის მოთხოვნის 2300მგვტ-მდე გაზრდა,“ - აღნიშნა RTE-მ.¹⁰

დანია ათ წელიწადში ქვანახშირის აკრძალვას აპირებს

დანია უკვე მიისწრაფის 2030 წლისთვის ელექტროენერჯის ენერგორესურსებიდან ქვანახშირის ამოღებისკენ, თუმცა კლიმატის მინისტრმა რასმუს ჰელვეგ პეტერსენმა განაცხადა, რომ ამის მიღწევა უფრო მოკლე ვადებში სურს. მას უნდა, ქვეყნის ქვანახშირიდან განახლებად ენერჯიაზე გადასვლა შეძლებისდაგვარად დააჩქაროს. მინისტრის მოწოდებით, ქვანახშირის აკრძალვა 2025 წლისთვის, დაგეგმილზე 5 წლით ადრე უნდა მოხდეს.



მიუხედავად იმისა, რომ დანიამ ალტერნატიულ ენერჯის წყაროს წარმოებაში დიდ წარმატებას მიაღწია, - მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარის ენერჯიამ დანიის მიერ მოხმარებული მთლიანი ელექტროენერჯის 41.2% შეადგინა - ქვანახშირი მაინც 20%-ს იკავებს

ქვეყნის მთლიანი ენერჯის წარმოებაში.

„ჩემს თანამშრომლებს გზების მოძებნა ვთხოვე, რომელიც ათ წელში ქვანახშირის მოხმარებას შეაჩერებს. ეს კლიმატისთვის სარგებელს მოიტანს და ძალიან კარგი გასაგზავნი სიგნალი იქნება საერთაშორისო საზოგადოებისთვის“ - პეტერსონმა დანიურ რადიომაუწყებელს განუცხადა.

პეტერსონის განცხადებით, რომელიც წინა კვირას კოპენჰაგენში გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორის პანელს (IPCC) ესწრებოდა,

¹⁰ <http://www.powerengineeringint.com/articles/2014/11/france-to-support-belgian-energy-security-despite-own-potential-shortages.html>

დამტკიცებულია, რომ ქვანახშირი არის ენერგორესურსის ის სახეობა, რომელიც ყველაზე მეტად იწვევს კლიმატის ცვლილებას. ამიტომ, დანია, რაც შეიძლება მალე, უნდა მოახერხოს მისი ჩანაცვლება. მანვე აღნიშნა: „ყოველგვარი სცენარის გარეშე, ჩვენ ჯერჯერობით განვაგრძობთ ქვანახშირის მოხმარებას. უკვე გადავწყვეტეთ, რომ 2030 წლისთვის ეს აღარ მოხდება, თუმცა, მინდა ვნახო, ამის განხორციელება უფრო ადრე თუ არის შესაძლებელი.“

ლარს ააგარდმა, დანიური ენერგოასოციაციის (Dansk Energi) აღმასრულებელმა დირექტორმა, განაცხადა, რომ პეტერსონის გეგმა „სრული სიგიჟეა“. მისი თქმით, „მინისტრს მცირედი შანსიც კი არ აქვს, რომ ევროპას ეტაპობრივად ათქმევინოს უარი ქვანახშირზე. ეს უბრალოდ ვერ მოხდება. ევროპის ენერჯის მიწოდების დიდი ნაწილი ქვანახშირზეა დამოკიდებული და კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იქნება.“

დანის ენერგოასოციაციის მიხედვით, 2013 წელს წიაღისეული საწვავის გამოყენებამ, როგორცაა ნავთობი, ქვანახშირი და ბუნებრივი აირი, დანიის მთლიანი ენერგომოხმარების 3/4 შეადგინა.¹¹

მსოფლიო

ეთიოპიის ელექტროენერჯის კორპორაცია (Ethiopian Electric Power) 300 მგვტ სიმძლავრის ახალი მზის ენერჯის პროექტს ავითარებს



აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყანა ეთიოპია მომავალი რამდენიმე წლის მანძილზე მზის ენერჯის მნიშვნელოვანი განვითარების მომსწრე გახდება, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ეთიოპიის ელექტროენერჯის კორპორაციასა (EEP) და აფრიკის მწვანე ტექნოლოგიებს (GTA) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს.

შეთანხმება მოიცავს 300 მგვტ სიმძლავრის ახალი მზის ენერჯის პროექტის განვითარებას ეთიოპიაში, რათა ქვეყანამ შეძლოს იმ მიზნის მიღწევა, რომელიც 2015 წლისთვის ეთიოპიის ელექტროენერჯის სიმძლავრის ამჟამინდელი 55%-

¹¹ <http://www.thelocal.dk/20141030/denmark-looks-to-ban-coal-in-ten-years>

დან 75%-მდე გაზრდას გულისხმობს. ხელშეკრულების სხვა დეტალები ჯერ-ჯერობით არ არის გასაჯაროებული.

მზის ენერჯის განვითარება ფეხდაფეხ მოსდევს ქვეყნის მიერ ბოლო პერიოდში ჰიდრო, გეოთერმულ და ქარის ენერჯის პროექტებში (არსებით) ინვესტირებას.

GTA-ის თანახმად, ეთიოპიის მთავრობის მიერ ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები შეეცხას იმსახურებს, ვინაიდან ქვეყანამ „მხარდაჭერა გამოუცხადა ორგანიზაციებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე ამოქმედეს იმ ეთიოპიელებმა, რომელთაც განათლება და პროფესიული გამოცდილება მიიღეს საზღვარგარეთ, თუმცა არჩიეს სამშობლოში დაბრუნება, რათა ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად შეემუშავებინათ საუკეთესო პრაქტიკა და პრობლემის გადაჭრის გზები უფრო მწვანე ეთიოპიისათვის.“ კომპანიის პრეზიდენტმა დარეჯე მესფინმა ეთიოპიურ გაზეთ „რეპორტერთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კომპანია გეგმავდა პროექტების US' Power Africa-ს ინიციატივის მეშვეობით დაფინანსებას, რომელიც, სუბ-საჰარაში უფრო მეტ ადამიანისთვის ელექტროენერჯიაზე წვდომის გაზრდის მიზნით, 2013 წელს თავიდან იქნა ჩაშვებული.

გარიგების თანახმად, GTA პროექტების განვითარებას გეგმავს ქალაქ დირე დავაში, კომბოლჩასა და დესეში, მას შემდეგ, რაც ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები დასრულდება. პროექტის ფარგლებში, მოსალოდნელია მშენებლობის, დაახლოებით, 6 თვის განმავლობაში დაწყება.¹²

ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, ენერჯოკრიზისის დასაძლევად 250 მლრდ აშშ დოლარია საჭირო

ინდოეთის ენერჯეტიკის მინისტრმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ ქვეყანას სჭირდება 250 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, რათა გადაიჭრას ქრონიკული ენერჯოდეფიციტის პრობლემა და შესაძლებელი გახდეს 1.2 მლრდ მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგება. მისი თქმით, ინვესტიციის ძირითადი ნაწილი კერძო სექტორიდან უნდა მოდიოდეს, თუმცა სახელმწიფოც გაზრდის ინვესტირებას.

„მე თვალნათლივ მაქვს წარმოდგენილი დაახლოებით 250 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია ამ სექტორში მომავალ ოთხ-ხუთ წელიწადში,“ - პიუმ გოიალმა განაცხადა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონფერენციაზე დელიში.

მთავრობა 100 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციას მიმართავს განახლებადი ენერჯის წყაროებისკენ, ხოლო 50 მლრდ აშშ დოლარს - გადაცემასა და განაწილებისკენ,

¹² <http://cleantechnica.com/2014/11/05/ethiopia-electric-power-developing-300-mw-new-solar-projects/>

რათა „შეიქმნას ეროვნული ქსელი, სადაც ენერჯია შეძლებს უწყვეტად დინებას“, განაცხადა გოიალმა, რომელიც ცდილობს, თავიდან აიცილოს 2012 წელს მსოფლიოს უდიდესი ავარია, რამაც ჩრდილოეთ ინდოეთის ჩაბნელება გამოიწვია. მან ასევე თქვა, რომ ატომური ენერჯია ინდოეთს ენერგოდეფიციტის პრობლემის მოგვარების „პოტენციალს“ სთავაზობს.

სწრაფად მზარდი მოთხოვნა, რომელიც უსწრებს მიწოდებას და მოძველებული გადაცემის სისტემა იწვევს იმას, რომ ინდოეთის უმეტესი ნაწილი კვლავ ხშირი გათიშვების პრობლემის წინაშე დგას, ეს კი ხელს უშლის ინვესტიციებს და ბევრ მეწარმეს იძულებულს ხდის, გენერატორების ძვირადღირებულ რეზერვებს დაეყრდნოს. დაახლოებით 400 მილიონამდე ინდოელი ჯერ კიდევ



არაა დაკავშირებული ქსელთან, მაშინ, როცა საშუალოდ ერთი ინდური ოჯახი ჩინელი ოჯახის მოხმარებული ენერჯიის 1/3-ს მოიხმარს. გოალმა აღნიშნა, რომ 2019 წლისთვის ინდოეთის ენერჯიის მთლიანი მოხმარება გაორმაგდება.

მაისში არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდიმ საკუთარ თავზე აიღო ყველა ინდოელისთვის უწყვეტი ენერჯიის მიწოდება, როგორც მისი მთავრობის პოლიტიკის მთავარი მიმართულება. გოიალის თქმით, ამის მისაღწევად საჭიროა, ინდოეთმა საგრძნობლად გაზარდოს ელექტროენერჯიის მისაღებად მოპოვებული ქვანახშირის რაოდენობა, შეამცრიოს გადამცემი ხაზებზე და ქურდობის შედეგად მიღებული ელექტროენერჯიის დანაკარგები და მხარი დაუჭიროს განახლებადი ენერჯიის ისეთი წყაროების გამოყენებას, როგორცაა მზე და ქარი. გარემოსთვის უფრო მეგობრული სხვა ალტერნატივების მიუხედავად, ქვანახშირი, რომელიც ქვეყნის ენერჯიის 3/5-ს აწარმოებს, კვლავ დარჩება ინდოეთის ენერგობალანსის „მთავარ ძალად“, ისევე როგორც აშშ-ში.

წინა მთავრობები იბრძოდნენ ენერგოსექტორში უცხოური თანხების მოსაზიდად, ნაწილობრივ იმიტომ, რომ კომპანიები არ იყვნენ დარწმუნებულები იმაში, შეძლებდნენ თუ არა ინვესტიციებიდან შემოსავლის მიღებას, მანამ, სანამ მომხმარებელთა სასარგებლოდ ტარიფები დაბალი დარჩებოდა.

იაპონური Mitsubishi Corp-ის ინდური ფილიალის გენერალურმა დირექტორმა მასაკაჰუ საკაკიდამ კვირის დასაწყისში განაცხადა: „ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ინვესტირებისას (ინდოეთში) არის ის, თუ როგორ გავხადოთ პროექტი სარფიანი.

ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურის შემთხვევაში ფასები თითქმის ფიქსირებულია და არაა დაკავშირებული ქვანახშირის ფასთან.“

დონგ-კვან კიმმა, მზის ენერჯით დაინტერესებული კორეული კონგლომერატის Hanwa Group-ის გენერალურმა დირექტორმა, აღნიშნა, რომ კაპიტალის მაღალი ღირებულებაც აკავებდა ინვესტორებს განახლებადი ენერჯის წყაროების დაფინანსებისგან, რადგან სხვაგან უკეთესი შემოსავლის მიღება შეეძლოთ.¹³

OPEC-ის მონაცემებით, უახლოესი 26 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ენერჯიაზე გლობალური მოთხოვნის მკვეთრი ზრდა

ხუთშაბათს გამოქვეყნებული „ოპეკის“ ანგარიშის თანახმად, 2040 წლისათვის ენერჯიაზე გლობალური მოთხოვნა 2010 წელთან შედარებით 60%-ით გაიზრდება.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, სათბურის გაზების გაფრქვევისა და მათი გარემოზე უარყოფითი გავლენის მიუხედავად, წიაღისეული საწვავი კვლავ დარჩება დედამიწაზე ენერჯის ძირითად წყაროდ.



„წიაღისეული საწვავია ის, რაც კვლავ წამყვან როლს ითამაშებს მსოფლიო ენერჯო მოთხოვნის დაკმაყოფილებაში“, - ნათქვამია „ოპეკის“ ანგარიშში.

ეს მაშინ, როდესაც ენერჯის ისეთი განახლებადი წყაროები, როგორცია მზე და ქარი „განაგრძობს სწრაფი ტემპებით ზრდას, ნაწილობრივ მთავრობის მხარდაჭერის შედეგად. თუმცა, დაბალი საწყისი ბაზისის გამო, სავარაუდოა, რომ მათი წილი გლობალურ ენერჯეტიკაში 2040 წლისათვის მოკრძალებული დარჩება“, - დასძენს „ოპეკი“.

¹³ <http://in.reuters.com/article/2014/11/06/india-energy-investment-idINKBN0IQ0AK20141106>

„მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია მსოფლიო ნავთობის წარმოების დღში 81.8 მილიონი ბარელიდან 99.6 მილიონ ბარელამდე ზრდა, ნედლი ნავთობის წილი მსოფლიო ენერჯის მოხმარებაში 31.9%-დან 24.3%-მდე შემცირდება,“ - აღნიშნულია ანგარიშში.

მიუხედავად ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ნავთობის ფასის მკვეთრი ვარდნისა - ბარელზე დაახლოებით 80 აშშ დოლარამდე, „ოპეკის“ პროგნოზის თანახმად, მიმდინარე ათწლეულის ბოლომდე ნავთობის ფასი საშუალოდ 110 აშშ დოლარი იქნება.

„ოპეკი“ ასევე ოპტიმიზმითაა გამსჭვალული მსოფლიო ეკონომიკის მომავალთან დაკავშირებით.

„ყველა სცენარის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის სიჯანსაღე რჩება ძირითად საკითხად“, - ნათქვამია „ოპეკის“ ყოველწლიურ ანგარიშში და ის იქვე ამატებს: „მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს იყო როგორც აღმსვლა, ასევე ჩავარდნები გლობალურ ეკონომიკაში, ზოგადად შეინიშნება ეტაპობრივი აღდგენის ტენდენცია.¹⁴

ანალიტიკა

განახლებადი ენერჯია ბუნებრივი გაზის წინააღმდეგ


ფინანსურმა საკონსულტაციო კომპანია Lazard-მა განახლებული ინფორმაცია გამოაქვეყნა ელ.ენერჯის გენერაციის ტექნოლოგიების დაყვანილი ღირებულებების (levelized cost of energy- LCOE) შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადვილი შესამჩნევია, რომ ქარისა და მზის სადგურები ბუნებრივი გაზით მომუშავე ტექნოლოგიებს კიდევ უფრო აქტიურად უწევენ კონკურენციას. სუბსიდიების მიუხედავად, ქარის სადგურების დაყვანილი ღირებულება ბუნებრივ გაზის ამ მაჩვენებლის კონკურენტულია და უკვე რამდენიმე წელია სიტუაცია არ შეცვლილა.

სექტემბერში კომპანია Lazard-ის მიერ გამოქვეყნებული შეფასებების მიხედვით, მზის ფოტოელექტრული სადგურის LCOE ყოველ მგვტ.სთ-ზე 72 აშშ დოლარიდან 86 აშშ დოლარამდე მერყეობდა, ხოლო სახურავზე განთავსებული მზის პანელებისა კი - 126-დან 265 აშშ დოლარამდე. ქარის სადგურების LCOE მგვტ.სთ-ზე 37-დან 81 აშშ დოლარამდე შეფასდა, ხოლო ბუნებრივი გაზის - 61-დან 87 აშშ დოლარამდე. ქარის პროექტების ისტორიულად დაბალმა ფასებმა ტექნოლოგიების სუბსიდიებზე დამოკიდებულება მაინც ვერ დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან ქარის ენერჯიდან გამომუშავებული ელ.ენერჯის შესყიდვა იზრდებოდა, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 1 032

¹⁴ <http://www.presstv.ir/detail/2014/11/06/385013/global-energy-demand-to-rise-by-60/>

მგვტ-ით შემცირდა. 2012 წელს ჯამური ქარის ენერჯის შესყიდვა 12 885 მგვტ-ს შეადგენდა, მანამ, სანამ წარმოების ფედერალურ საგადასახადო კრედიტს ვადა გაუვიდოდა.

ხშირად კომპანია Lazard-ის საჯარო დოკუმენტაცია ძალიან მცირე ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი შეფასებების შედარება სხვა ლიდერი კომპანიების ანალიზებთან. ენერჯეტიკის საინფორმაციო სააგენტოს 2014 წლის შეფასებით, მზის ფოტოელექტრული სადგურების LCOE ყოველ მგვტ.სთ-ზე 130 აშშ დოლარს შეადგენს, რაც 60%-ით მეტია ვიდრე Lazard-ის შეფასება.



ორგანიზაცია IPCC-მ (The Intergovernmental Panel on Climate Change) მიმდინარე წლის დასაწყისში LCOE-ის გლობალური შეფასება გამოაქვეყნა. მათი შეფასებით, მზის ფოტოელექტრული პანელების დაყვანილი ღირებულება ყოველი მგვტ.სთ-ზე 150 აშშ დოლარს აჭარბებს, ხოლო იმის მიხედვით, თუ მზის სადგურების რეალური გამომუშავება როგორია, ეს შეფასება 200-დან 300 აშშ დოლარამდეც იზრდება. კიდევ უფრო მაღალია სახურავებზე დაყენებული მზის პანელების LCOE, რომელსაც გამომუშავების შედარებით მაღალი დონე აქვს და შესაბამისად 200 აშშ დოლარი/მგვტ.სთ-ს შეადგენს.

საერთაშორისო ენერჯეტიკულმა სააგენტომ (IEA) ასევე გამოაქვეყნა მზის ტექნოლოგიების ცნობარი, სადაც მისი LCOE მგვტ.სთ-ზე 80-დან 190 აშშ დოლარამდე მერყეობს. გერმანიაში, სადაც მსოფლიოში ყველაზე იაფი მზის სადგურებია, ეს რიცხვი 110-დან 142 აშშ დოლარამდე მერყეობს.

ასე, რომ Lazard-ის შეფასებები მზის სადგურების LCOE-ზე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე სხვა კომპანიების მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემები, რაც შესაძლოა, რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ კომპანია არ ითვალისწინებს იმ სხვადასხვა ფაქტორებს LCOE-ს გამოთვლისას, რომელსაც სხვა კომპანიები მოიცავენ.

გერმანიის ფრაუნჰოფერის ინსტიტუტის მზის ენერჯის ანალიტიკოსმა სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების შეჯერების შედეგად IPCC-ის შეფასებები გააკრიტიკა და განაცხადა, რომ კომპანიის საშუალო შეფასებები მზის სადგურების LCOE-ს შესახებ ძალიან მაღალია, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ Lazard-ის შეფასებებიც რეალურ მონაცემებთან შედარებით გაცილებით დაბალია. ფრაუნჰოფერის მიხედვით, მზის ფოტოელექტრული სადგურების LCOE დაახლოებით 70-დან 350 აშშ დოლარამდე მერყეობს ყოველ მგვტ.სთ-ზე, ხოლო ყველაზე ხშირ შემთხვევაში ეს რიცხვი კლასტერულად 200 აშშ დოლარს შეადგენს. სახურავებზე განთავსებული მზის პანელების LCOE დაახლოებით 90-დან 500 აშშ დოლარამდეა, ხოლო ძირითადად 300 აშშ დოლარია. მაშინ, როცა Lazard-ის ცნობები ბუნებრივ გაზთან შედარებით მზის სადგურების კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს, ბევრი მზის ენერჯის მხარდამჭერი, მზის ენერჯების კონკურენტუნარიანობის ხელშესაწყობად, IEA-ს მოწოდებას სუბსიდიებისა და ნახშირბადის ფასებზე აქტიურად იზიარებენ. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: დღესდღეობით მზის ენერჯია არის თუ არა კონკურენტუნარიანი, თუ მას მომდევნო ათეულ წლებშიც პოლიტიკის მხარდაჭერა სჭირდება?¹⁵

¹⁵ <http://oilprice.com/Energy/General/Renewable-Energy-vs-Natural-Gas-How-The-Costs-Stack-Up.html>